

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

თბილისი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი  
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

## შესავალი

2019 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდა აბიტურიენტებისათვის ჩააბარა 433 აბიტურიენტმა, მათ შორის 92,4% გამსვლელი ქულა მოიპოვა. იმისათვის, რომ აბიტურიენტებს დახმარება გავუწიოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადების პროცესში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულს - „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, 2018-2019 წლებში გამოცდაზე გამოყენებული ტესტები, განხილულია ტესტური დავალებები, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები. ცალკეული განმარტება და რეკომენდაციები. მოცემულია ტიპური შეცდომების ჩამონათვალი, რაც მთლიანობაში დაეხმარებათ აბიტურიენტებს, უკეთ გაიაზრონ ტესტურ დავალებათა მოთხოვნები.

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ პიროვნების აღზრდისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. ცოდნის შეძენა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის საფუძველზე ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლას და მისი საშუალებით ეროვნული და მსოფლიო კულტურული ფასეულობების სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას (ემოციური, ისტორიული, კულტურული, სოციალური, რელიგიური და ა. შ.) გულისხმობს, რაც ნიჭიერი, ცნობისმოყვარე და განათლებული, ასევე დახვეწილი გემოვნების მქონე ახალგაზრდა თაობის აღზრდას უწყობს ხელს. მსოფლიოს კულტურულ თავისებურებებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა, მოვლენებსა და საგნებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება, ხელს უწყობს შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების, კვლევა-ძიებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. ხელოვნება, როგორც ემოციების გამოხატვის განუმეორებელი საშუალება, ადამიანში სამყაროს ესთეტიკურ აღქმას აძლიერებს, განსხვავებულ ხედვას უყალიბებს მას და თვითგამოხატვის საინტერესო საშუალებებს სთავაზობს.

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ ორი - თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან შედგება. ჩვენი გამოცდა მხოლოდ თეორიულ ნაწილს ითვალისწინებს. ფაკულტეტები და სპეციალობები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების შემოწმება, აბიტურიენტთათვის შემოქმედებით ტურებს ნიშნავენ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის საფუძველზე განვითარებული სააზროვნო და პრაქტიკული უნარები უმაღლესი განათლების მიღების მსურველებს სწავლისა და შემეცნების პროცესს საგრძნობლად გაუადვილებს.

**გისურვებთ წარმატებას!**

## შინაარსი

შესავალი.....	3
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო პროგრამა აბიტურიენტებისათვის.....	5

## I თავი

### სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

1. ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება.....	13
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი.....	16

## II თავი

### ტესტურ დავალებათაშე შეფასების სქემები, ტესტურ დავალებათა ტიპები, განმარტებები, რეკომენდაციები

1. ტესტურ დავალებათა შეფასების სქემა.....	58
2. ტესტურ დავალებათა ტიპები, განმარტებები, რეკომენდაციები.....	66

## სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო პროგრამა აბიტურიენტებისათვის

გთავაზობთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო პროგრამას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VI-IX კლასების საგნობრივ სტანდარტთან და ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში შეტანილ მასალას.

### გამოცდაზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ✓ ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენება;
- ✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- ✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებების და ხერხების (ელემენტები და პრინციპების) ცოდნა და მიზანმიმართული გამოყენება ნამუშევრის შექმნის თუ ანალიზის დროს;
- ✓ ეპოქის, მხატვრული მიმდინარეობისა და სტილისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გამოვლენა და მათი დაკავშირება ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ საფუძვლებთან;
- ✓ ხელოვნების ნაწარმოებს შორის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- ✓ შემოქმედის გამომსახველობითი ენის, სტილის თავისებურებებისა და სახვითი საშუალებების გააზრება და გარკვეული გავლენების აღმოჩენა;
- ✓ ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, შეფასება, არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება;
- ✓ ხელოვნების ნაწარმოებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

### სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- ✓ საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- ✓ საკითხის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- ✓ შედარებითი ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;
- ✓ არგუმენტირების უნარი;
- ✓ შემოქმედებითი უნარი.

2023 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება
<b>საგნობრივი ცოდნა (ცნებები)</b>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სტილისა და მიმდინარეობების მხატვრული მახასიათებლები;</li> <li>• ტერმინები და მხატვრული ენა;</li> <li>• სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებები და ხერხები</li> </ul> <p><b>სახვითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები)</b> (მაგ.: ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის, კონტური, შტრიხი; ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ნეიტრალური, კონტრასტული, მონათესავე, ინტენსიური, ფერისა და ტონის გრადაცია, კოლორიტი; შუქ-ჩრდილი, განათება; ფორმა: ბრტყელი და მოცულობითი (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, უტრირებული, სტილიზებული და სხვ.); ფაქტურა; ფონისა და გამოსახულების ურთიერთმიმართება.</p> <p><b>სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები)</b> (მაგ.: კომპოზიციური განაწილება, ელემენტების განმეორებადობა, რიტმი, ძირითადის გამოყოფა, აქცენტი, სიმეტრია-ასიმეტრია, სტატიკა-დინამიკა, კონტრასტი, თანაფარდობა, მასშტაბი, პროპორცია/დისპროპორცია, წონასწორობა, სივრცე, პერსპექტივა (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი), კომპოზიციური მთლიანობა.</p>

	<p>• <b>სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები</b> (<b>დარგები</b> - მაგ.: ფერწერა (დაზგური, მინიატურა, მონუმენტური - ფრესკა, მოზაიკა, ვიტრაჟი, გრაფიტი), გრაფიკა (დაზგური, ბეჭდვითი), ქანდაკება, ჭედურობა, არქიტექტურა, დიზაინი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.; <b>ჟანრები</b> - მაგ: ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი, ისტორიული და სხვ.).</p> <p>• <b>სახვითი ხელოვნების ტექნიკა</b> (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუირება, ციფრული ტექნოლოგიები).</p>
<b>ხელოვნების ისტორია</b>	
<b>პრეისტორიული ეპოქის ხელოვნება</b>	სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის წარმოშობა, პრეისტორიული ხელოვნება: პერიოდიზაცია, პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ძეგლები: მცირე პლასტიკა - ქანდაკება; გამოქვაბულის მხატვრობა (ტასილი, ალტამირა, ლასკო), არქიტექტურა (დოლმენები, სტოუნჰენჯი).
<b>ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება ა. ეგვიპტის ხელოვნება</b>	ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; წინადინასტიური, ძველი, შუა, ახალი სამეფოების და გვიანდელი პერიოდის ეგვიპტური ხელოვნება - არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი, კედლის მხატვრობა (მასტაბები, გიზას პირამიდები, მენტუხოტეპებისა და ხატშეფსუტის სატაძრო კომპლექსი დეირ ელ-ბაჰარიში, ლუქსორის და კარნაკის სატაძრო კომპლექსები თებეში, რამზესის ტაძარი აბუ-სიმბელში. ნარმერის ფილა, მწერალი კას ქანდაკება, ხეფრენის დიდი სფინქსი, მემნონის კოლოსები, სამარხის კულტთან დაკავშირებული პორტრეტული ქანდაკებები. სამარხის მხატვრობა; ამარნის კულტურა: ეხნატონის, ნეფერტიტის ქანდაკებები, ახეტატონის სასახლის რელიეფები და მოხატულობა; ტუტანხამონის სამარხის საგანძური).
<b>ბ. შუამდინარეთის ხელოვნება</b>	ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; ✓ <b>შუმერის და აქადის ხელოვნება</b> არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა - ურის ზიკურატი; გუდეას ქანდაკება,

	<p>საბეჭდავები.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ <b>ასურეთის ხელოვნება</b> არქიტექტურა, ქანდაკება და გლიპტიკა - სარგონ II-ის სასახლე დურ-შარუკინში და მისი რელიეფები, შედუ სარგონ II-ის სასახლიდან, ამურბანიპალ II-ის სასახლის რელიეფები ნინევიამში, საბეჭდავები.</li> <li>✓ <b>ბაბილონის ხელოვნება</b> არქიტექტურა - იმტარის კარიბჭე; ქანდაკება და გლიპტიკა.</li> <li>✓ <b>აქემენიდური ირანის ხელოვნება</b> არქიტექტურა - ფასარგადის, პერსეპოლისის არქიტექტურული კომპლექსები; ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება.</li> </ul>
<p><b>ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი</b></p> <p><b>ა. ეგეოსური სამყაროსა და ძველი საბერძნეთის ხელოვნება</b></p> <p><b>ბ. ბერძნული არქაული ხელოვნება</b></p> <p><b>გ. ბერძნული კლასიკური ხელოვნება</b></p> <p><b>დ. ელინისტური ხელოვნება</b></p>	<p>ანტიკური ხელოვნების პერიოდიზაცია; ანტიკური სამყაროს მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში.</p> <p>კრეტა-მიკენის ხელოვნება (კნოსოსის სასახლის არქიტექტურა, ქანდაკება, კედლის მხატვრობა; მიკენის აკროპოლისი - ლომების კარიბჭე, აგამემნონის ნილაბი და სხვ., კერამიკა)</p> <p>არქიტექტურული ორდერი, კუროსები და კორები, კერამიკაზე მხატვრობა – კერამიკული მხატვრობის სტილები.</p> <p>პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი.  <b>ადრეული კლასიკა</b> (ათენა აფაიას ტაძარი კუნძულ ეგინაზე, დელფოსის მეეტლე, მეხისმტყორცნელი ზევსის ქანდაკება, მირონის შემოქმედება).  <b>მაღალი კლასიკა</b> (ათენის აკროპოლისი, ფიდიასისა და პოლიკლეტოსის შემოქმედება).  <b>გვიანი კლასიკა</b> (ეპიდავროსის თეატრი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, სკოპასის, პრაქსიტელისა და ლისიპეს შემოქმედება).</p> <p>არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (პერგამონის არქიტექტურა და რელიეფი, ქანდაკება პერგამონიდან, ნიკე სამოთრაკიელი, აფროდიტე მილოსელი, ფილოსოფოსის თავი (ე. წ. სენეკას პორტრეტი), ლაოკოონი).</p>



<p>ე. ეტრუსკული ხელოვნება</p> <p>ვ. რომის რესპუბლიკისა და იმპერიის ხელოვნება</p>	<p><b>ეტრუსკული ქანდაკება</b> - ჰერმესისა და აპოლონის ქანდაკება ვეიდან, ოჯახური წყვილის სარკოფაგი ჩერვეტერიდან და სხვ.</p> <p>პერიოდიზაცია; ქალაქმშენებლობა, არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა/მოზაიკა, რელიეფი (რომის ფორუმი, პომპეის სახლები, აკვედუკები, ხიდები, თერმები, ტრიუმფალური თაღები – ვია აპია, ფაბრიციუსის ხიდი რომში, ადრიანეს მავზოლეუმი რომში, ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რომში, მოხუცი დიდებულის პორტრეტი, მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება, ტრაიანეს სვეტი, კოლიზეუმი, რომის პანთეონი, პომპეის მხატვრობა, ფაიუმის პორტრეტები).</p>
<p>ბიზანტიის ხელოვნება</p>	<p>ბიზანტიური ხელოვნების თავისებურებები; ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; ბიზანტიური არქიტექტურის ტიპები (რავენას გუმბათური ხუროთმოძღვრება - სან ვიტალე; აია სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში); ბიზანტიური ფრესკული და მოზაიკური მხატვრობა (სან ვიტალე, აია სოფიას ტაძარი, სან აპოლინარე ნუოვო), მინიატურა (რაბულას და როსანოს კოდექსები).</p>
<p>ქართული ხელოვნება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ქართული ხელოვნების უძველესი ნიმუშები; თრიალეთის კულტურა - გამოყენებითი ხელოვნება (ოქროს ლომი (თრიალეთის კულტურის წინა პერიოდის ნიმუში), თასები, ყელსაბამი); ანტიკური ხანის ქართული ხელოვნება (კოლხური ქანდაკება და სამკაული - ნიკეს გამოსახულება, მამაკაცის ფიგურა, ოქროს დიადემა, სასაფეთქლები, ყელსაბამი კუების გამოსახულებით, სამაჯურები ვანიდან; ყელსაბამები და გულსაბნევი, თასი ფორტუნას გამოსახულებით არმაზისხევიდან).</li> <li>ქართული ქრისტიანული ხელოვნების პერიოდიზაცია, ისტორიულ-კულტურული კონტექსტი; ბაზილიკური და დარბაზული ტიპის ეკლესიები ქართულ არქიტექტურაში (ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ოთხთა ეკლესია), გუმბათოვანი ტაძრები; ტეტრაკონქი - მცხეთის ჯვარი და ჯვრის ტიპის ძეგლები; ქართული კათედრალური - ოშკი, ბაგრატი, სვეტიცხოველი, ალავერდი; სამთავროსა და სამთავისის, ანანურის ტაძრები; კლდეში ნაკვეთი არქიტექტურა (უფლისციხე, ვარძია); დარბაზი - საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპი საქართველოში; VI-XVII სს. ქართული რელიეფი (ბოლნისის სიონის, ჯვრის, ოპიზის აშოტ კურაპალატის, სვეტიცხოველის,</li> </ul>

	<p>ნიკორწმინდის, სამთავროსა და სამთავისის რელიეფები); ადრეული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული მოზაიკური მხატვრობა (ძალისას, ბიჭვინთის, გელათის მოზაიკები); შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობა (ატენის სიონის, ყინწვისის, ვარძიის, უბისას ფრესკები, მეფის მხატვარ თევდორეს მოხატულობები სვანეთში); ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ეტაპები; IX-XIII სს. ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები (ბეჟა და ბეშქენ ოპიზრების შემოქმედება, ხახულის კარედი, ბედის ბარძიმი).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• XIX-XX საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება თბილისური პორტრეტი; გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე; ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, სერგო ქობულაძე, თეატრის მხატვრები – ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი; მოქანდაკეები - იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი; XIX-XX საუკუნეების თბილისური არქიტექტურა.</li> </ul>
<p><b>დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება</b></p> <p><b>ა. რომანული ხელოვნება</b></p> <p><b>ბ. გოთური ხელოვნება</b></p>	<p>რომანული და გოთური ხელოვნების მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში; ხელოვნების სინთეზის საკითხი შუა საუკუნეების ხელოვნებაში – არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა.</p> <p>წმ. პეტრეს ტაძარი მუასაკში (საფრანგეთი), ვორმისის ტაძარი (გერმანია), კათედრალური ტაძარი ილიში (ინგლისი), პიზის ტაძარი (იტალია)</p> <p>პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რეიმსის ტაძარი, რუანის ტაძარი (საფრანგეთი), ნაუმბურგის ტაძარი, კიოლნის ტაძარი (გერმანია), ვესტმინსტერის სააბატო, კენტერბერის კათედრალი (ინგლისი).</p>

<p><b>რენესანსის ხელოვნება</b></p> <p><b>ა. იტალიური რენესანსი</b></p> <p><b>ბ. გერმანული რენესანსის ქანდაკება და მხატვრობა</b></p> <p><b>გ. ნიდერლანდების ხელოვნება XV-XVI სს.</b></p>	<p>პერიოდიზაცია; რენესანსის ეპოქის ისტორიულ-კულტურული ასპექტები.</p> <p>ადრეული რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (ჯოტოს, მაზაჩოს, პიერო დელა ფრანჩესკას, სიმონე მარტინის, ანტონელო და მესინას, სანდრო ბოტიჩელის, ჯოვანი ბელინის, ფილიპო ბრუნელესკის, ლორენცო გიბერტის, ანდრეა დელ ვეროკიოს, დონატელოს შემოქმედება)</p> <p>მაღალი და გვიანი ხანის რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (წმ. პეტრეს ტაძარი, სანტა მარია დელ ფიორე, პაცის კაპელა ფლორენციაში, ოსპიდალე დელი ინოჩენტი, რენესანსის სასახლეები, ლეონარდო და ვინჩის, ტიციანის, რაფაელის, მიქელანჯელოს შემოქმედება).</p> <p>ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის, ჰანს ჰოლბაინ უმცროსის შემოქმედება.</p> <p>იან ვან ეიკის, იერონიმუს ბოსხის, პიტერ ბრეიგელის, როგირ ვან დერ ვეიდენის შემოქმედება.</p>
<p><b>XVII-XIX სს.- ის ევროპული ხელოვნება</b></p> <p><b>ახალი და თანამედროვე დასავლური ხელოვნება</b></p>	<p>ისტორიულ-კულტურული, სოციალური მიმოხილვა: ბაროკოს, რომანტიზმის, ნეოკლასიციზმის და რეალიზმის მხატვრული მიმდინარეობები: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება (ბერნინი, ჯან ბოლონია, ელ გრეკო, დიეგო ველასკესი, ფრანსისკო დე სურბარანი, პიტერ პაულ რუბენსი, რემბრანტი, იან ვერმეერი, ანტუან ვატო, ჟან ონორე ფრაგონარი, ანტონიო კანოვა, ჟაკ ლუი დავიდი, ოგიუსტ დომინიკ ენგრი, ეჟენ დელაკრუა, ფრანცისკო გოია, უილიამ ტერნერი, გუსტავ კურბე, ონორე დომიე).</p> <p>იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, არ-ნუვო, ექსპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი (აფრიკული ქანდაკებისა და ნიღბების, კოლუმბამდელი სამხრეთ ამერიკის, იაპონური ხელოვნების გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე), ნაივური ხელოვნება, ავანგარდული ხელოვნება - აბსტრაქციონიზმი, ფუტურიზმი, სიურეალიზმი, პოპ-არტი: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, ახალი მედიები (ედუარდ მანე, კლოდ მონე, ედგარ დეგა,</p>

	პიერ-ოგიუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, ოგიუსტ როდენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ვან-გოგი, ოდილონ რედონი, გუსტავ კლიმტი, ედვარდ მუნკი, ანრი მატისი, პაბლო პიკასო, ანრი რუსო, ჯაკომო ბალა, უმბერტო ბოჩონი, სალვადორ დალი, ჯორჯო დე კირიკო, რენე მაგრიტი, ალბერტო ჯაკომეტი, ჰენრი მური, კონსტანტინ ბრანკუზი, მარკ შაგალი, ვასილი კანდინსკი, კაზიმირ მალევიჩი, მარსელ დიუმანი, ხუან მირო, პიტ მონდრიანი, ფრენსის ბეკონი, პაულ კლეე, ენდი ვორჰოლი, როი ლიხტენშტეინი, ედვარდ ჰოპერი; არქიტექტორები: ანტონი გაუდი, გუსტავ ეიფელი, ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდი რაიტი, ზაჰა ჰადიდი, სანტიაგო კალატრავა, ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერი, ფრენკ გერი).
<b>შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება</b>	სტუპები, პაგოდები, ჩინეთის კედელი, ტერაკოტას არმია, ბუდას ქანდაკებები, ტაჯ-მაჰალის არქიტექტურული კომპლექსი.
<b>ისლამური ხელოვნება</b>	სპარსული და არაბული არქიტექტურა (ისპაჰანის არქიტექტურული ნაგებობები, ლურჯი მეჩეთი ისტანბულში, კლდის გუმბათი, ალჰამბრა), შორენკეცები, აღმოსავლური მინიატურა და კალიგრაფიის ნიმუშები.
<b>ცენტრალური ამერიკის ძველი ცივილიზაციების და ჩილეს ხელოვნება</b>	მაიას, აცტეკების, ინკების, ალდგომის კუნძულის არქიტექტურა, სკულპტურა.
<b>ხელოვნების სახვითი საშუალებებისა და ხერხების ამოცნობა და/ან გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში</b>	ხაზი, კონტური, ფერი, ფორმა, ორნამენტი, კოლორიტი, ტონალობა, შუქ-ჩრდილი, გრადაცია, ფაქტურა, მოცულობა, მთლიანობა, პროპორცია, სივრცე, ხედვის წერტილი, პერსპექტივა, სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, დინამიკა; კომპოზიციური განაწილება, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები, ფერთა გრადაცია, შტრიხი, ლაქა, ბლიკი. სხვადასხვა ტექნიკა და პროცედურა (ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი, აპლიკაცია).

## I თავი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

2020 წელს გამოყენებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექსტის სტრუქტურა

რას ვაფასებთ	დავალების ინსტრუქცია	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
<p>ცოდნა გაგება გამოყენება 61%</p>				
<p>ქართული ხელოვნება; მსოფლიო ხელოვნება; ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები; ტერმინები და მხატვრული ენა; სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები (სახვითი საშუალებები) და პრინციპები (სახვითი ხერხები)</p>	<p>4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი; შეაფასეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება; შეავსეთ წინადადება სიტყვებით ისე, რომ აზრობრივად გამართული ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ; წარმოდგენილი სურათის შესაქმნელად გამოყენებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები შეუსაბამეთ დავალების პირობაში ჩამონათვალის სახით მოცემულ ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს.</p>			

		სულ: 43	1	ქულათა ჯამი: 43
<b>2. ანალიზი სინთეზი შეფასება 39%</b>				
ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები, სტილები და მათი მხატვრული მახასიათებლები, გავლენები;	<p>მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს.</p> <p>არგუმენტირებული მსჯელობით ხელოვნების ნიმუშისა და თქვენ მიერ დასახელებული პერიოდის მხატვრულ მახასიათებლებზე გაამყარეთ საკუთარი მოსაზრება.</p> <p>ამოიცანით სხვადასხვა სტილისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხები.</p>	3	4	12
მხატვრული ნაწარმოების აღქმის, არგუმენტირებული მსჯელობის, განზოგადების, მოცემულობასთან ხელოვნების ნიმუშის ადეკვატურად დაკავშირების;				
ხელოვნების ნიმუშების შედარების, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის, შეფასების უნარები.	დააკვირდით ხელოვნების ნიმუშებს, გაიაზრეთ და შეადარეთ მითითებების მიხედვით	1	15	15
		სულ: 4		ქულათა ჯამი: 27
<b>მთელი ტესტის მაქსიმალური ქულა</b>		<b>70 ქულა</b>		

აპლიკანტმა პასუხები პასუხების ფურცელზე უნდა გადაიტანოს. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. ტესტის ხანგრძლივობა შეადგენს 3 საათს.

### **მინიმალური ზღვარი**

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 25%. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70, შესაბამისად გამსვლელი ქულაა 18 და მეტი.



## 2020 წლის საგამოცდო ტესტი

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-24 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).**

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ., ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 1-8



1. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა) დაზგური ფერწერის;
- ბ) მონუმენტური მხატვრობის;
- გ) გობელენის;
- დ) ხატწერის.

2. რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?



ა) მრავალსცენიანი კომპოზიცია, რომელსაც დღესასწაულის თემა აერთიანებს;

ბ) სიმეტრიის პრინციპს დამორჩილებული კომპოზიციური ელემენტების ტექტონიკური განლაგება;

გ) პეიზაჟით გამთლიანებული კომპოზიციის ფრონტალური და მონუმენტური ხასიათი;

დ) ადამიანის ფიგურები და სივრცე, რომლებიც შექმნილია ანატომიისა და პერსპექტივის კანონების ცოდნის შესაბამისად.

3. ჩამოთვლილთაგან რომელ მხატვრულ ხერხებს არ იყენებს ოსტატი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად?



- ა) სინთეზური აზროვნების საფუძველზე მხატვარი სურათის თემის შესაბამის ზოგად, სიცოცხლით სავსე, ხმაურიან გარემოს ქმნის;
- ბ) თავშეკავებული კოლორიტითა და ნაზი პლასტიკური ფორმების საშუალებით იქმნება მხატვრული სახის ლირიკული ხასიათი;
- გ) სწრაფი, თავისუფალი, თუმცა ზუსტი მონასმებით გამოსახულებები და მათი დამახასიათებელი ნიშნები სიცხადეს იძენენ;
- დ) აღქმის უშუალობას ფორმისა და ჟესტის მეტყველი, ერთგვარად ექსპრესიული ხასიათი განსაზღვრავს.

4. ჩამოთვლილთაგან რომელ მხატვრულ ხერხებს არ იყენებს ოსტატი სურათის კომპოზიციური სტრუქტურის შესაქმნელად?



ა) კომპოზიციური მთლიანობის განცდას სივრცული და მოცულობითი ფორმების ფერწერული და კოლორიტული მოდელირება განსაზღვრავს;

ბ) დიაგონალურ ხაზს, სივრცის ილუზიას რომ ქმნის, მხატვარი აბალანსებს ფრონტალურობითა და გამოსახულებათა განთავსებით შექმნილი სიბრტყის მკაფიო შეგრძნებით;

გ) წინა და უკანა პლანი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად აღიქმება, სოფლის ხედის არაორგანული, სრულიად განყენებული მდებარეობის გამო;

დ) სცენები ერთმანეთს არ კვეთს, თუმცა შინაარსით, მოქმედების მომენტით და ადგილით განსხვავებული „ამბები“ მაყურებლის თვალწინ ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის.

5. რომელი ფორმულირება არ შეესაბამება ნიკო ფიროსმანაშვილის სურათის დახასიათებას?



ა) სურათის დეკორატიული ხასიათი, რასაც მეორეხარისხოვანი დეტალების ზედმიწევნით დამუშავება განსაზღვრავს;

ბ) ფიგურათა მცირე ზომის, ცოცხალი გამოსახულებები, რომელთა ზომები სასურათე სიბრტყეზე განაწილებისას პერსპექტივის პრინციპებს არ ექვემდებარება;

გ) ფიგურათა სიმკვეთრე და, ამავე დროს, რბილი ფერწერულობა გამოჰკვეთს და ერთდროულად, გარემოს განუყოფელ ნაწილად აქცევს მათ;

დ) მხატვარი ნაკლებად იყენებს ფერადოვან კონტრასტებს, სურათის სტრუქტურა ერთფეროვანი - ყავისფრის, ოქრას და მუქი მწვანის ტონალური გრადაციის საფუძველზე იქმნება.

## 6. რომელი განმარტება შეესაბამება ნიკო ფიროსმანაშვილის მსოფლმხედველობას?



- ა) მხატვრის მსოფლმხედველობა ერთ მთლიანობად აღიქვამს ცხოვრებისეულ მოვლენებს და მარადიულ ფასეულობად გადააქცევს ყოველდღიურობას;
- ბ) მხატვრის მსოფლმხედველობამ განსაზღვრა პირობითი, ზერეალური ასახვის ობიექტებისადმი გამორჩეული ინტერესი;
- გ) მხატვრისათვის მნიშვნელოვან საფუძველს ხელოვნებაში ქალაქის კულტურულ გარემოში ჩამოყალიბებული სამყაროს რაციონალური აღქმა წარმოადგენს;
- დ) მხატვრის მსოფლმხედველობა კარნახობდა მას ნაწარმოების სიუჟეტი დაეტვირთა სხვადასხვა მნიშვნელობით, ალეგორიებითა და მისტიკური სიმბოლოებით.

7. რომელი ფორმულირება არ ასახავს ნიკო ფიროსმანაშვილის სურათის თავისებურებას?



- ა) ცოცხალი, დინამიკური, სწრაფი, თავისუფალი და ესკიზური წერის მანერა;
- ბ) განზოგადებული ფერწერული ფორმები;
- გ) ფერის ლოკალური ლაქები;
- დ) მცირე მიზანსცენები, დათვალეობაში რომ შეგიტყუებს.



8. რომელი ფორმულირება არ შეესაბამება ფიროსმანაშვილის მხატვრული სამყაროს დახასიათებას?



ა) მხატვრის სამყარო მარტივია, რადგან რეალურ ცხოვრებას ეფუძნება;

ბ) მხატვრის სამყარო რთულია, რადგან რეალური ცხოვრების მისეული ინტუიტიურ-მითოლოგიური აღქმა მკვეთრად გამოირჩევა ცხოვრებაზე ზოგადი შეხედულებებისაგან;

გ) მხატვრის სამყარო მარტივია, რადგან მასში ნათლად ვლინდება მხატვრის უშუალო, სიყვარულით სავსე დამოკიდებულება გამოსახულის მიმართ;

დ) მხატვრის სამყარო რთულია, რადგან ის წინასწარ შემუშავებული პროგრამის საფუძველზეა შექმნილი.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 9-14

1. ბედიის ბარძიმი



2. ბედიის ბარძიმი



9. ბარძიმზე შემორჩენილი წარწერის თანახმად, ვინ შესწირა ბედიის ტაძარს ეს უნიკალური ნივთი?

- ა) თამარ მეფემ და დავით სოსლანმა;
- ბ) ბაგრატ III-მ და დედოფალმა გურანდუხტმა;
- გ) დავით აღმაშენებელმა და დედოფალმა ელენემ;
- დ) გიორგი ბრწყინვალემ და დემეტრე II-მ.

1. ბედიის ბარძიმი



2. ბედიის ბარძიმი



**10. რას წარმოადგენს ბედიის ბარძიმი?**

- ა) ბაჯალლო ოქროს მთლიანი ფურცლისგან გამოჭედილ ზიარების თასს;
- ბ) მოოქრული ვერცხლის ერთმანეთზე გადაბმული ნაწილებისგან შექმნილ ჭურჭელს;
- გ) ბაჯალლო ოქროს მთლიანი ფურცლისგან გამოჭედილ ემბაზს;
- დ) მოოქრული ვერცხლის მთლიანი ფურცლისგან გამოჭედილ საცეცხლურს.

1. ბედიის ბარძიმი



2. ბედიის ბარძიმი



11. რომელი განმარტება შეესაბამება სურათზე მოცემული ოქრომქანდაკებლობის ნიმუშის აღწერილობას?

ა) მაღალი რელიეფით შესრულებულ სტატიკურ ფიგურებს დეკორატიული თაღედის გამოსახულება შემოსაზღვრავს;

ბ) ჭედურობას მაღალი რელიეფით შესრულებული ფიგურებისა და მრავალფეროვანი ორნამენტული მოტივების სინთეზი გამოარჩევს;

გ) დაბალი რელიეფით შესრულებულ დეკორატიულ გამოსახულებებს ფორმათა უტრირება ექსპრესიას სძენს;

დ) მაღალი რელიეფით შესრულებულ წელზევით დაგრძელებულ ფიგურებს ფორმათა უტრირება მანერულობას სძენს.

1. ბედიის ბარძიმი



2. ბედიის ბარძიმი



12. მოცემულ ფორმულირებათაგან რომელი არ შეესაბამება ბედიის ბარძიმის აღწერილობას?

- ა) სფერული ფორმის ბარძიმის ზედაპირზე მაღალი რელიეფით შესრულებული 12 ფრონტალური ფიგურაა წარმოდგენილი;
- ბ) გამოსახულებათა უწყვეტ ზოლში მაცხოვრისა და ღვთისმშობლის საყდარზე მჯდომი ფიგურებით შექმნილია ორი - კომპოზიციური და აზრობრივი, აქცენტი;
- გ) მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ფიგურები განსაკუთრებული დეტალური დამუშავებითა და პლასტიკურობით გამოირჩევა;
- დ) მოციქულთა სტატიკური ფიგურების მიმართება ცენტრალური ფიგურებისადმი მათკენ ოდნავ მიბრუნებული თავებისა და ტერფების გამოსახულებაში ვლინდება.

1. ბედიის ბარძიმი



2. ბედიის ბარძიმი



13. რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი ბედიის ბარძიმისათვის?

- ა) სახეების დამუშავებისას ოსტატი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სახასიათო ნიშნების დეტალურ გამოსახვაზე;
- ბ) ბარძიმის ზედაპირზე ფიგურების გამოსახულებებში მნიშვნელობა ენიჭება ფორმათა პლასტიკურ დამუშავებას;
- გ) მაღალი რელიეფით შესრულებული თავებისა და ხელების დეტალები ზოგიერთ ადგილას მრგვალ ფორმასაც კი იძენს;
- დ) მხატვრული ეფექტი დრაპირების დეკორატიულობით არის მიღწეული.

1. ბედიის ბარძიმი




2. ბედიის ბარძიმი



14. რომელ მხატვრულ საშუალებას და ხერხს არ იყენებს ოსტატი ბედიის ბარძიმის შესაქმნელად?

- ა) სიმეტრიულ და გაწონასწორებულ კომპოზიციას;
- ბ) ფიგურათა სხვადასხვა დონეზე გამოსახვას;
- გ) ორნამენტული და ფიგურული გამოსახულებების სინთეზს;
- დ) იკონოგრაფიული სქემების მიხედვით შექმნილ წმინდანთა სამოსს.


საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 15-19



15. რა სტილის ან/და ეპოქის ნაგებობაა წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაზე ?


- ა) რომანული;
- ბ) გოთიკური;
- გ) კლასიციზტური;
- დ) ბაროკოს.






16. რომელი ქვეყნის არქიტექტურული ნიმუშია წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაზე?

- ა) გერმანიის;
- ბ) ინგლისის;
- გ) ესპანეთის;
- დ) საფრანგეთის.




17. რომელი არქიტექტურული ტიპის ნაგებობაა წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაზე?

- ა) სამნავიანი ბაზილიკა;
- ბ) ხუთნავიანი ბაზილიკა;
- გ) სამეკლესიანი ბაზილიკა;
- დ) ცალნავიანი ბაზილიკა.



18. რომელი ფასადია დომინანტური საილუსტრაციოდ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობისათვის?


- ა) აღმოსავლეთი ფასადი;
- ბ) დასავლეთი ფასადი;
- გ) სამხრეთი ფასადი;
- დ) ჩრდილოეთი ფასადი.



19. რომელი არქიტექტურული ნაწილების გადაკვეთის საშუალებით იძენს ნაგებობა გეგმაში ჯვრის ფორმას?


- ა) განივი და გვერდითი ნაგებობის;
- ბ) გვერდითი და ცენტრალური ნაგებობის;
- გ) ტრანსეპტისა და ცენტრალური ნაგებობის;
- დ) სტოასა და კარიბჭის.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 20-24




20. ძველი ბერძნული ხელოვნების განვითარების რომელ ეტაპზეა შექმნილი მირონის „ბადროსმტყორცნელი“?

- ა) ელინიზმის პერიოდი;
- ბ) არქაული ხანა;
- გ) მაღალი კლასიკა;
- დ) ადრეული კლასიკა.



21. რა თავისებურება *არ ახასიათებს მირონის „ბადროსმტყორცნელს“?*

- ა) ანატომიის ცოდნის საფუძველზე აგებული სხეული;
- ბ) იდეალურად გაწონასწორებული ფიგურის პლასტიკური, რბილი ფორმები;
- გ) ფრონტალურად გაშლილი ფიგურა, რომელიც მზერის ერთი წერტილიდან ნათლად იკითხება;
- დ) ანატომიის ცოდნის საფუძველზე აგებული ფიგურის მკაცრი, გაშეშებული პოზა.




22. რა არის წარმოდგენილი სკულპტურული გამოსახულების მთავარი თემა და თავისებურება?

ა) ათლეტის გამოსახულება, წარმოდგენილი რეალური ადამიანის სახით;

ბ) კონკრეტულ მოქმედებასთან დაკავშირებული განცდების გადმოცემა;

გ) გამოსახულება მოცემული მოქმედების კონკრეტულ მომენტსა და კონკრეტულ ადგილას;

დ) პერსონაჟის სახეზე ინდივიდუალური ნიშნების ასახვა.



23. რომელი მხატვრული ნიშანი არ არის  
დამახასიათებელი მირონის  
„ბადროსმტყორცნელის“ ქანდაკებისათვის?

- ა) ლამაზი, ფიზიკურად განვითარებული,  
ჰარმონიულად აგებული სხეული;
- ბ) მსუბუქი კონტრაპოსტის პოზა,  
თავისუფლად ჩამოშვებული მარჯვენა ხელით  
და დახრილი თავით;
- გ) არქაული პირობითობისაგან სრულიად  
თავისუფალი გამოსახულება, წარმოდგენილი  
თავისუფალ მოძრაობაში;
- დ) ფიგურა, მიუხედავად მძაფრი მოქმედებისა,  
წარმოდგენილი დასრულებულ,  
გაწონასწორებულ კომპოზიციაში.





24. რომელი მხატვრული ნიშანია დამახასიათებელი მირონის „ბადროსმტყორცნელის“ ქანდაკებისათვის?

ა) ფიგურის მოქმედება რთულად გაშლილია სივრცეში, რომელიც ყოველი მხრიდან დათვალიერებას მოითხოვს;

ბ) გულდასმით დამუშავებულ ფორმებზე შუქ-ჩრდილის თამაში გამოსახულებას ცხოველხატულობას სძენს;

გ) ანატომიური სიზუსტით ასახულ სხეულზე გამოვლენილია მთავარი მოცულობები, მეორეხარისხოვანი დეტალების გარეშე;

დ) დეკორატიულად გაფორმებულია გამოსახულების თმის ვარცხნილობა და აღბეჭდილია ღიმილი სახეზე.

## დავალება № 25-31 - წინადადების შეესება

**ინსტრუქცია:** დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. ცარიელი ადგილები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული, ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ.

**ნიმუში:** სახვითი ხელოვნების ელემენტს, რომელიც გამოსახულების ზედაპირის თავისებურებას გამოხატავს, *ფაქტურა* ეწოდება.

25. \_\_\_\_\_ სანტა მარია დელ ფიორეს ტაძრის გუმბათის ავტორია.
26. ნატურმორტის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც ცხოვრების წარმავლობას, ამაოებას ალეგორიის ფორმით გადმოსცემს და საგნებს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, \_\_\_\_\_ ეწოდება.
27. მიწისქვეშა გალერეების, დერეფნებისა და მცირე ზომის სათავსების ერთობლიობას, სადაც ადრექრისტიანული სამარხები და სამლოცველოები იყო განთავსებული, \_\_\_\_\_ ეწოდება.
28. ვერტიკალურად აღმართულ ქვის/მარმარილოს ფილას, წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით \_\_\_\_\_ ეწოდება.
29. ქანდაკებას, რომელიც გამოსახავს ადამიანის მხოლოდ თავსა და გულმკერდს, \_\_\_\_\_ ეწოდება.
30. ალექსანდრე მაკედონელის ექსპანსიას აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმოსავლურ და ბერძნულ კულტურათა თავისებურებების შერწყმა მოჰყვა. ამ ეპოქას \_\_\_\_\_ უწოდებენ.
31. ხელოვნების ნაწარმოების ელემენტების განლაგებას და ურთიერთშეფარდებას \_\_\_\_\_ უწოდებენ.

დავალება № 32-37 - „ჭეშმარიტია-მცდარია“

ინსტრუქცია: შეაფასეთ ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუ მიიჩნევთ, რომ მტკიცებულება მცდარია, საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ მცდარად შეფასებული მტკიცებულების სწორი ფორმულირება. მხოლოდ მცდარის შესაბამისი უჯრის მონიშვნის შემთხვევაში პასუხი სწორად არ ჩაითვლება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

დავალება №    ჭ        ა      
ფაქტუალურად მცდარია, ხავეზ მონოქრომული ფე-  
ხტი მონოსტრუქტურული ფეხები.

32. ფოტოზე წარმოდგენილია ფარაონ ჰატშეფსუტის ტაძარი დეირ-ელ-ბაჰარიში.




33. სურათზე წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობის ავტორია ფრენკ გერი.



34. სურათზე წარმოდგენილია გერმანული რენესანსის ხელოვნების ნიმუში.



35. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის დეტალი განეკუთვნება ეგვიპტურ კულტურას.





36. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში ნატურმორტის ჟანრშია შესრულებული.



37. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში ელინისტური ხანის თვალსაჩინო მაგალითია.



(6) დავალება № 38 - დაადგინეთ შესაბამისობა

ინსტრუქცია - სურათზე წარმოდგენილი ნამუშევრის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი ხელოვნების საშუალებები და ხერხები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში:



- ა. შუქი;
- ბ. გრადაცია;
- გ. ათინათი;
- დ. დაცემული ჩრდილი;
- ე. ჩრდილი;
- ვ. მონასმი;
- ზ. ორნამენტი;
- თ. რეფლექსი.

ჩამონათვალში სახვითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების (ელემენტებისა და პრინციპების) 8 დასახელებაა მოცემული. 6 მათგანი მითითებულია სურბარანის ნატურმორტზე. შეუსაბამეთ ჩამონათვალს სურათზე მითითებული ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების აღმნიშვნელი რიცხვები და შესაბამისი უჯრა პასუხების ცხრილში X-ით მონიშნეთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. ერთ მოცემულობას მხოლოდ ერთი პასუხი შეესაბამება.

## წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.

გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(4) დავალება № 39. მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ფერწერული ნიმუში გარკვეულ მხატვრულ ეპოქას ან/და მიმდინარეობას. ხელოვნების ნიმუშის და თქვენ მიერ დასახელებული პერიოდისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ნიშნებზე არგუმენტირებული მსჯელობით გაამყარეთ თქვენი მოსაზრება.



შეასრულეთ წერითი დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. გაანალიზეთ წარმოდგენილი სურათის მხატვრული თავისებურებები სახვითი საშუალებების მიხედვით;
2. თქვენ მიერ გაანალიზებული სახვითი საშუალებების მიხედვით მიაკუთვნეთ სურათი მხატვრულ სტილს/მიმდინარეობას;
3. განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული მხატვრული სტილის/მიმდინარეობის ზოგადი თავისებურება;
4. იმსჯელეთ სტილის/მიმდინარეობისა და სურათის მხატვრულ-სტილურ შესაბამისობაზე.

#### (4) დავალება № 40. რომელი ქვეყნის



არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე? წარმოაჩინეთ თქვენ მიერ დასახელებული ქვეყნის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები.

გაანალიზეთ წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტურული თავისებურებები და განსაზღვრეთ, რომელი კულტურის გავლენა შეინიშნება ნაგებობაზე? გავლენის მიხედვით დაადგინეთ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობის შექმნის ისტორიული პერიოდი.

ნიკე სამოთრაკიელი



უმბერტო ბოჩონი

უნიკალური ფორმების უწყვეტობა სივრცეში



(4) დავალება № 41. საილუსტრაციო მასალაზე წარმოდგენილია ნიკე სამოთრაკიელის ქანდაკება (ძვ. წ. II საუკუნე) და უმბერტო ბოჩონის სკულპტურული კომპოზიცია „უნიკალური ფორმების უწყვეტობა სივრცეში“ (1913 წ.). დაახასიათეთ მოცემული ხელოვნების ნიმუშები მხატვრული თავისებურებების მიხედვით; შესაძლებელია თუ არა, რომ ძველბერძნული ნიკე სამოთრაკიელი უმბერტო ბოჩონის სკულპტურისათვის შთაგონების წყაროდ ქცეულიყო? საკუთარი მოსაზრება გაამყარეთ არგუმენტებით.

(15) დავალება № 42. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რეპროდუქციები და მითითებების 4 პუნქტის მიხედვით შეასრულეთ დავალება.

### შეადარეთ სურათები

1. დიეგო ველასკესი. პაპი ინოკენტი X. 1650



2. ფრენსის ბეკონი. პაპი ინოკენტი X. 1953



(5) 42.1. დააკვირდით წარმოდგენილ ნიმუშებს და იმსჯელეთ ორიგინალისა და ამავე თემაზე შექმნილი ინტერპრეტაციის მსგავსებასა და განსხვავებაზე:


სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? გააანალიზეთ წარმოდგენილი სურათების კომპოზიციური სტრუქტურა; რომელი სახვითი საშუალებები და ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული სახისა და ხასიათის შესაქმნელად?



1. დიეგო ველასკესი. პაპი ინოკენტი X. 1650



2. ფრენსის ბეკონი. პაპი ინოკენტი X. 1953




(4) 42.2. ხელოვნების  
თითოეული ნიმუში  
სტილური მახასიათებლების  
მიხედვით მიაკუთვნეთ  
ხელოვნების ისტორიის  
გარკვეულ პერიოდს და/ან  
მხატვრულ მიმდინარეობას.  
დაასაბუთეთ თქვენი  
მოსაზრება!

1. დიეგო ველასკესი. პაპი ინოკენტი X. 1650



2. ფრენსის ბეკონი. პაპი ინოკენტი X. 1953



(4) 42. 3. განიხილეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში - იმსჯელეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიულ-კულტურული თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე; იჩენს თუ არა თავს ეს გავლენები მოცემულ გამოსახულებებზე. თქვენი მოსაზრებები გაამყარეთ არგუმენტებით.

(2) 42.4. გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშების მიმართ, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

## II თავი

ტესტურ დავალებათა შეფასების სქემები

**ხელოვნების აბიტურიენტის ტესტის შეფასების სქემა**

1. ა;	13.ა;
2. დ;	14.ბ;
3. ბ;	15.ბ;
4.გ;	16.დ;
5.ა;	17.ბ;
6.ა;	18.ბ;
7.გ;	19.გ;
8. დ;	20.დ;
9.ბ;	21.დ;
10.ა;	22.ა;
11.ა;	23.ბ;
12. გ;	24.გ;

**თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა**

- 25. ბრუნელესკი
- 26. ვანიტასი
- 27. კატაკომბა

- 28. სტელა
- 29. ბიუსტი
- 30. ელინიზმი

- 31. კომპოზიცია/კომპოზიციური მთლიანობა

**თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა**

32. მცდარია: რამსესის ტაძარი აბუ სიმბელში

36. მცდარია: პორტრეტი

33. მცდარია: ფრენკ ლოიდ რაიტი

37. მცდარია: ეგეოსური

34. მცდარია: ნიდერლანდური

35. მცდარია: შუამდინარულს

**თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა**

38.

ღნიშვნები სურათზე დავალე ბის №	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
38.1							X	
38.2				X				
38.3	X							
38.4								X
38.5			X					
38.6					X			

**თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა**

<b>შეფასების სქემა</b> <b>მაქსიმალური ქულა 4</b>	
4 ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი სწორად მიაკუთვნებს ფერწერულ ნიმუშს ჩრდილოეთის რენესანსს, კერძოდ ნიდერლანდურ რენესანსს, ყურადღებას ამახვილებს იმ მხატვრულ ნიშნებზე (გოთიკური ხელოვნების გავლენა, დეტალიზაცია, სივრცისა და ადამიანთა პროპორციების ინტუიტიური ასახვა და ა.შ.), რომელიც როგორც ზოგადად ჩრდილოეთის, ნიდერლანდური რენესანსის სტილისთვის, ასევე კონკრეტულად მოცემული კომპოზიციისთვისაა დამახასიათებელი. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
3 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა მისი მსჯელობა სრულყოფილი არ არის - იგი ყურადღებას ამახვილებს ნიმუშისა და ეპოქისათვის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე თავისებურებაზე, მსჯელობაში გარკვეული შეცდომები შეინიშნება.  <i>ან</i> აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას,

	<p>თუმცა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს სურათის დამახასიათებელ ყოველ თავისებურებაზე.</p>
2 ქულა	<p>აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ საკითხს. აპლიკანტის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.</p> <p><i>ან</i> აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს სურათის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებაზე.</p>
1 ქულა	<p>აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა ვერ ახერხებს საკითხის გაანალიზებას და მის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია.</p> <p><i>ან</i> აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარს ავლენს.</p>
0 ქულა	<p>პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხში არ ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო.</p> <p>პასუხი ბუნდოვანია, აპლიკანტის მსჯელობაში არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებებია.</p>

40.

<b>შეფასების სქემა</b> <b>მაქსიმალური ქულა 4</b>	
4 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში ინდოეთშია აგებული. თუმცა არქიტექტურულ ნაგებობაზე ნათლად შეინიშნება როგორც ინდური, ასევე სპარსულ-თურქული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ტაძარი მე-17 ს. უნდა იყოს აგებული. გუმბათი და გუმბათის გარშემო ასევე მცირე ზომის გუმბათით გადახურული ფანჩატურები სპარსულ-ინდური არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ელემენტებს აერთიანებს, ისევე როგორც მინარეთები. თაღების შეისრული ფორმებიც სპარსული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტია. ტაძრის ექსტერიერის გაფორმებაშიც სპარსული დეკორატიული სისტემის თავისებურებები ცხადად იკვეთება.
3 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ქვეყნისა და რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, თუმცა არგუმენტებით სრულყოფილად მოსაზრების გამყარებას ვერ ახერხებს.
2 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ქვეყნისა და რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, თუმცა მსჯელობის არგუმენტირებულად წარმართვა უჭირს.
1 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი ქვეყნისა და რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე,
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

41.

<b>შეფასების სქემა</b> <b>მაქსიმალური ქულა 4</b>	
4 ქულა	აპლიკანტი ახერხებს იმსჯელოს წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრულ თავისებურებებზე - ორივე ქანდაკების პოზა, სივრცეში გაშლა, დინამიზმი, შექმნილი ფრთებისა თუ სამოსის გაფრიალებული, თავისუფალი ფორმებით, რეალისტურად თუ აბსტრაქტულად განსახიერებული - ერთნაირ მხატვრულ ეფექტს ქმნის. სავსებით შესაძლებელია, და მეტიც, ალბათ ნიკეს ქანდაკებით შთაგონებულმა ბოჩიონიმ სრულიად განსხვავებული, მისი ეპოქისათვის და თავად მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ფორმით გაიაზრა ნიკე სამოთრაკიელის მხატვრული სახე და სახელიც საკმაოდ შესაფერისი შეურჩია - უნიკალური ფორმების უწყვეტობა სივრცეში, რაც სამყაროს მუდმივ მოძრაობაზე, მის უწყვეტ განვითარება-განახლებაზე დაგვაფიქრებს, თუმცა მიგვანიშნებს, რომ



	ახალი, უკვე არსებულ, კლასიკურ ტრადიციაზე დაფუძნებული, სრულიად უნიკალური და თავისთავადია. ასე რომ ეს არ არის მიბაძვა, ეს ახალი მხატვრული ფორმის ძიების შედეგად შექმნილი ხელოვნების ორიგინალური ნიმუშია.
3 ქულა	აპლიკანტი ახერხებს იმსჯელოს წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრულ თავისებურებებზე, თუმცა უძნელდება წარმოდგენილ ნიმუშებს შორის ურთიერთგავლენაზე სახვითი საშუალებების საფუძვლებზე მსჯელობა.
2 ქულა	აპლიკანტი ახერხებს დაასახელოს წარმოდგენილი ნიმუშების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება, წარმოდგენილ ნიმუშებს შორის ურთიერთგავლენაზე სახვითი საშუალებების საფუძვლებზე მსჯელობა .
1 ქულა	აპლიკანტი ახერხებს დაასახელოს წარმოდგენილი ნიმუშების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

42.

<p><b>შეფასების სქემა</b></p> <p><b>მაქსიმალური ქულა 15</b></p> <p><b>I პუნქტისათვის 5 ქულა</b></p> <p><b>II და III პუნქტისათვის 4 ქულა</b></p> <p><b>IV პუნქტისათვის 2 ქულა</b></p>	
<p><b>I</b></p> <p><b>5 ქულა</b></p>	<p>საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.</p>
<p><b>II III</b></p> <p><b>4 ქულა</b></p>	
<p><b>IV</b></p> <p><b>2ქულა</b></p>	
<p><b>I</b></p>	<p>აპლიკანტი ხელოვნების ნიმუშების მეტ-ნაკლებად სრულ შედარებით ანალიზს აკეთებს. მსჯელობა არ არის</p>

<p>4 ქულა II III 3 ქულა</p>	<p>სრულყოფილი და გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს.</p>
<p>I II III 2 ქულა</p>	<p>პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემასთან - აპლიკანტს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება უჭირს. პასუხი სუსტია და არათანმიმდევრული, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.</p>
<p>1 ქულა</p>	<p>აპლიკანტი ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს არათანმიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს.</p>
<p>0 ქულა</p>	<p>დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და შედარებითი ანალიზის უნარი;</p> <p>პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებები.</p>

## ტესტურ დავალებათა ტიპები, შეფასების პრინციპები, განმარტებები, რეკომენდაციები

### I. დახურული კითხვები

**დავალების აღწერა:** საგამოცდო ტესტის პირველ ბლოკში დახურული დავალებების 3 ჯგუფია წარმოდგენილი. თითოეული ჯგუფის კითხვები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის საილუსტრაციოდ წარმოდგენილ ერთ ან ორ ხელოვნების ნიმუშს შეეხება. ყოველ კითხვას 4 სავარაუდო პასუხი ახლავს, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. კითხვების თითოეული ჯგუფის საილუსტრაციო მასალის შესახებ სხვადასხვა ტიპის დაახლოებით 6-8 კითხვაა დასმული, რაც აპლიკანტის ცოდნისა და გამოცდილების მრავალმხრივი კუთხით შეფასებაში გვეხმარება (მაგ., მასალის ცოდნა (ხელოვნების ისტორია, ტერმინოლოგია, სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები, ელემენტები და პრინციპები, მასალა და ტექნიკა), ცოდნის გამოყენება, ანალიზისა და იდენტიფიცირების უნარები). თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**დახურული კითხვა ნეგატიური (უარყოფის შემცველი) ფორმულირებით.** ამ ტიპის დავალებაზე მუშაობისას არ გამოგრჩეთ კითხვის ნეგატიური ანუ უარყოფის შემცველი ფორმულირება. ის გამუქებულია, ხაზგასმულია და განსხვავებული შრიფტითაა მოცემული.

**რეკომენდაციები დახურული კითხვებისათვის:**

- ✓ გაიაზრეთ დავალების პირობა;
- ✓ პასუხის გაცემამდე ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა;
- ✓ დავალებებს უპასუხეთ ვიზუალური მასალის ყურადღებით დათვალიერებისა და პირობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

- ✓ აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი, ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი. ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. მაგ., „ჩამოთვლილთაგან რომელი „არ არის““, „ყველაზე მეტად“ და ა. შ.;
- ✓ შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: „ყველაზე ნაკლებად“, „გარდა“ ან „არ“ მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ. ასეთ შეკითხვებში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

## II. წინადადების შევსება

**დავალების აღწერა:** ამ ტიპის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. ცარიელი ადგილები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ერთ სიტყვას გულისხმობს. წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ.

ამ ტიპის დავალებებიც გვეხმარება შევაფასოთ, თუ რამდენად ფლობს აპლიკანტი სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, იცნობს თუ არა სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს, მათ თავისებურებებს და რამდენად ადეკვატურად შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. თითოეული კითხვა ფასდება 1 ქულით.

### III. დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

**დავალების აღწერა:** დავალებაში მოცემულია მტკიცებულება, ტერმინთა თუ ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების განმარტებები, რომელთაგან ზოგი ჭეშმარიტია და შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო ზოგიერთ ტერმინს კი სრულიად შეუსაბამო განმარტება მოსდევს. თუ დებულება ჭეშმარიტია, ჭეშმარიტის შესაბამისი უჯრა უნდა მოვნიშნოთ X ნიშნით. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგვეთხოვება. თითოეული სწორად მონიშნული ჭეშმარიტი ფორმულირება ფასდება 1 ქულით. თუ დებულება მცდარია, მცდარის შესაბამისი უჯრა X ნიშნით უნდა მოვნიშნოთ და საგანგებოდ გამოყოფილ არეზე ჩავწეროთ სწორი ფორმულირება. თუ ვთვლით, რომ ფორმულირება მცდარია, ხოლო მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი უნდა დავტოვოთ და იმავე განმარტებისათვის მოვძებნოთ და მივუსადაგოთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა. თუ აპლიკანტი სწორად მონიშნავს მცდარის უჯრას და მართებულ ფორმულირებას ჩაწერს, დავალება შეფასდება 1 ქულით.

**მხოლოდ სწორად მონიშნული მცდარის შესაბამისი უჯრა სწორი ფორმულირების ჩანაწერის გარეშე ფასდება 0 ქულით.**

**რას ვაფასებთ:** ამ დავალებით ფასდება, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების თავისებურებებს. დავალება ფასდება 1 ქულით.

## რეკომენდაციები „ჭეშმარიტი-მცდარიას“ ტიპის დავალებების შესასრულებლად:

- ✓ საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ტიპის დავალებების შესრულებისას ძირითადი სირთულე მცდარად მოცემული ფორმულირების სწორად ჩაწერისას შეიქმნა. აბიტურიენტს ყურადღებით უნდა წაიკითხოს პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია და გაითვალისწინოს მოთხოვნა - თუ ფორმულირებას მიიჩნევს მცდარად, ის აუცილებლად ჩაწეროს კორექტული (სწორი) ფორმით.
- ✓ აბიტურიენტს თავი უნდა აარიდოს მოცემული დებულების შებრუნებული ფორმით ჩაწერას. თუ დებულება პოზიტიური ფორმითაა ჩაწერილი (მაგ., სპექტრის ფერების ერთობლიობა თეთრ ფერს ქმნის.), მას უარყოფითი ფორმის წინადადებად ნუ გადააქცევთ (მაგ., სპექტრის ფერების ერთობლიობა თეთრ ფერს არ ქმნის.) ასეთი პასუხი სწორ პასუხად არ მიიჩნევა.

## IV. დავალება 38. დაადგინეთ შესაბამისობა

**დავალების აღწერა:** ამ ტიპის დავალებაში მოცემულია გრაფიკული ან ფერწერული სურათის დეტალი. სურათის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში. ჩამონათვალში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების 8 დასახელებაა მოცემული. 6 მათგანი მითითებულია სურათზე. თითოეულს რიცხვების სახით თითო აღნიშვნა შეესაბამება. აპლიკანტმა ჩამონათვალში მოცემული ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს სურათზე მონიშნული ელემენტები და პრინციპები უნდა შეუსაბამოს, შესაბამისი უჯრა პასუხების ცხრილში X-ით მონიშნოს. თითოეული ჭეშმარიტი შესაბამისობა ფასდება 1 ქულით.

## V. ღია კითხვები

**დავალებების აღწერა:** ტესტის მესამე ბლოკი ღია ტიპის დავალებებისაგან შედგება. მათგან სამი 4 ქულით, ერთი კი 15 ქულით ფასდება. ამ ტიპის დავალებები ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ცოდნის გამოყენების, მხატვრული ნაწარმოების აღქმის, ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, განზოგადების (მოცემულობასთან ხელოვნების ნიმუშის ადეკვატურად დაკავშირების, ხელოვნების ნიმუშისა და მხატვრული გავლენების იდენტიფიცირების, ხელოვნების ნიმუშების შედარების, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენის, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის და ა. შ.), ასევე შეფასების უნარებს ამოწმებს.

1. პირველ სამ ღია ტიპის კითხვაში მოცემულია საილუსტრაციო მასალა (ზოგან ერთი, ხოლო ზოგან კი ორი). აპლიკანტმა მოცემულ მასალაზე დაკვირვებისა და დავალების პირობაში დასმული საკითხის შესაბამისად უნდა გამოხატოს საკუთარი მოსაზრება. მსჯელობის წარმართვაში მათ დავალების პირობაში მოცემული მითითებები დაეხმარება. დავალებები ფასდება 4 ქულით. ყურადღებით წაიკითხეთ კითხვები, დაფიქრდით და გაიაზრეთ, კონკრეტულად რა საკითხს შეეხება კითხვა. თუ კითხვაზე პასუხი ადეკვატურად არ იქნება გაცემული, ნაშრომი ან ნული ქულით, ან საკმაოდ დაბალი ქულით შეფასდება.

2. დავალებაში მოცემულია სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგის 2 ნიმუში. მოცემული მითითებების საფუძველზე აპლიკანტმა ნიმუშები უნდა შეადაროს ერთმანეთს, დაადგინოს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, მიაკუთვნოს ნაწარმოებები მხატვრულ ეპოქას ან/და მიმდინარეობას, განიხილოს ისინი ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში, იმსჯელოს გავლენებზე და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება. დავალება ფასდება 15 ქულით.

## დავალება 39-41-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- დავალების პირობის არასრული და არასწორი გააზრება. მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს.
- ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი. ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია და უმეტესად არ შეესაბამება მოცემულობას;
- არგუმენტების სიმწირე. აპლიკანტები ხშირად იყენებენ ფრაზას - ეს ნამუშევარი სრულად შეესაბამება ამ სტილის ნიშნებს. აუცილებელია აპლიკანტმა დაასახელოს და დეტალურად განმარტოს ჯერ სტილის ნიშნები, თუ მაგ. ამა თუ იმ რელიგიის სალოცავისთვის, თუ სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშნები და შეუსაბამოს მას მოცემული ხელოვნების ნიმუშის მხატვრული მახასიათებლები.
- კითხვებზე პასუხი. წერითი დავალებების ინსტრუქციაში მითითების მიუხედავად ხშირია, როდესაც აბიტურიენტები დავალებაში არსებული მითითებების მიხედვით ნაშრომს აზრობრივად ერთიანი, მთლიანი, მოკლე ესეს ფორმით კი არა, არამედ კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების სახით წარმოგვიდგენენ, რაც უარყოფითად აისახება მათ შეფასებაზე.

## რეკომენდაციები:

- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, პასუხისას დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია გაითვალისწინეთ;
- ✓ პასუხის მოცულობის გაზრდის მიზნით არ არის სასურველი ზოგადი და არაფრის მთქმელი ფრაზების გამოყენება, რაც პასუხის ხარისხს მნიშვნელოვნად წევს დაბლა. უმჯობესია, მსჯელობა კონკრეტულად საკითხს შეეხებოდეს. ხშირად ერთი წინადადება გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის აპლიკანტზე, ვიდრე ზოგადი ფრაზებით მაღალფარდოვანი მსჯელობა.



## დავალება 42-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალებების მითითებების არასრული გააზრება.** მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს.
- **შედარებითი ანალიზის მეთოდის დეფიციტი.** ეს დავალება უშუალოდ შედარებითი ანალიზის მეთოდზეა დაფუძნებული და ამ მეთოდის საშუალებით მსჯელობასა და საკითხების გაანალიზებას გულისხმობს. ხშირად აპლიკანტებს უჭირთ ამ მეთოდის გამოყენება, რადგან ვერ ფლობენ მსჯელობის სტრატეგიებს, რომლებიც შედარებით ანალიზს გულისხმობს. ამ მეთოდის გამოყენება გაცილებით მარტივს ხდის ანალიზის დავალების შესრულებას. როდესაც შეგიძლია ორი ნაწარმოები ვიზუალურად ერთმანეთს შეადარო, გაცილებით ნათელია განსხვავებებზე და მსგავსებაზე მსჯელობა და ამ მხატვრული ნიშნების კონტექსტში განხილვა.
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია. მაგ., სახვით საშუალებებზე მსჯელობისა და მათი გაანალიზების ნაცვლად, იგი საუბრობს დედა-შვილურ გრძნობებზე, პერსონაჟთა თავისებურებებზე და ა. შ. ასეთი პასუხები, დავალების პირობაში მოცემულ მითითებებს არ შეესაბამება და ფასდება 0 ქულით.
- **არგუმენტების სიმწირე.** როდესაც დავალების პირობაში საუბარია ნაწარმოების შეფასებაზე, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაზე, აპლიკანტმა უნდა დაასაბუთოს საკუთარი შეხედულებები მყარი არგუმენტებით: რა ნიშნით აფასებს ნაწარმოებს, ოსტატის მიერ გამოყენებულ რომელ სახვით საშუალებებსა და ხერხებს ეფუძნება მისი მოსაზრებები, რომელ მხატვრულ ხერხსა და საშუალებას იყენებს ოსტატი ნაწარმოებში ხასიათის შესაქმნელად და იდეის გადმოსაცემად.
- **მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა კონტექსტში განხილვის დეფიციტი.** ხელოვნების ისტორიის განვითარების მანძილზე ძნელად თუ მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც სრულებით ამოვარდნილი იყოს

ისტორიულ-კულტურული თუ სოციალური კონტექსტიდან. ყოველ ნაწარმოებს, მიუხედავად მკვეთრად დამახასიათებელი და ყველასგან გამორჩეული სტილისა და ინდივიდუალობისა, გარკვეული საფუძვლები გააჩნია და კულტურული კუთვნილების მატარებელია. სასურველია, აპლიკანტმა მოახერხოს მსჯელობის ამ მიმართულებით წარმართვა. შესაძლოა, ყოველგვარ ცოდნაზე დაყრდნობის გარეშე, მან გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, დააკავშიროს მხატვრული ფორმა და შინაარსი, გაავლოს ისტორიული ან/და სოციალური პარალელები, მხატვრული ფორმის თვალსაზრისით შეადაროს მისთვის ნაცნობ ამავე თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, გაავლოს პარალელები, აღმოაჩინოს განმასხვავებელი ნიშნები და ამ მსჯელობაზე დაყრდნობით ნაწარმოების წარმომავლობასთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნები გააკეთოს.

#### რეკომენდაციები:

- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, პასუხისას დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია გაითვალისწინეთ;
- ✓ პასუხის გაცემისას ნუ გაიმეორებთ დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას;
- ✓ გამოიყენეთ შედარებითი ანალიზის მეთოდის თავისებურებები;
- ✓ იმსჯელეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალო კავშირშია დავალებასთან;
- ✓ პასუხის მოცულობის გაზრდის მიზნით არ არის სასურველი ზოგადი და არაფრის მთქმელი ფრაზების გამოყენება, რაც უარყოფითად მოქმედებს პასუხის ხარისხზე უმჯობესია, მსჯელობა უშუალოდ საკითხს შეეხებოდეს. ხშირად ერთი წინადადება გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის აპლიკანტზე, ვიდრე ზოგადი ფრაზებით მაღალფარდოვანი მსჯელობა.

